უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს თბილისის თავისუფალი აკადემია

დასკვნის წარმოდგენის თარიღი:

23.05.2024

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

გიორგი მახარობლიშვილი

მახარობლიშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს „თბილისის თავისუფალი აკადემია“
დაწესებულების სახე	კოლეჯი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204876991

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	სამართალი
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VI
4	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0421
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	ქ. თბილისი, ჯურხა ნადირაძის ქუჩა #46, #1, 0102, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, საგანმანატლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 11.04.2023, #409476
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	28.03.2023

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	28.03.2024
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	01.07.2026

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	X			
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა		X		
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	X			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების პროცედურების ნაწილში პროგრამა საჭიროებს უფრო კონკრეტულ, დეტალურ და გამჭვირვალე განმარტებებს/აღწერას;
2. პროგრამას სჭირდება პროაქტიული მობილობის პოლიტიკა - სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო მობილობის პროგრამებში, ან სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში, მათ შორის კლასგარეშე აქტივობებში მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე მსგავს აქტივობებში საზღვარგარეთ (მაგალითად, Erasmus+ პროგრამა);
3. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის სათანადო აქტიურობა სამეცნიერო სფეროში (კვლევების ჩატარება, კონფერენციებში მონაწილეობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება და ა.შ.);
4. რეკომენდირებულია აკადემიური წერის სილაბუსის შინაარსში გათვალისწინებულ იქნეს იურიდიული სამეცნიერო-კვლევითი დოკუმენტის ასაგებად და მოსამზადებლად აუცილებელი საკითხები, როგორიცაა ნაშრომის სტრუქტურა, სათაური, დასკვნა და ა.შ

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში შეიცავს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ უსდ-ის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია. კერძოდ:

1. სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების პროცედურების ნაწილში პროგრამა საჭიროებს უფრო კონკრეტულ, დეტალურ და გამჭვირვალე განმარტებებს/აღწერას.

   დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, გაზიარებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია და მოდიფიცირდა სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ სილაბუსი. კერძოდ, სილაბუსით გათვალისწინებულ მეექვსე თემის ფარგლებში განისაზღვრა იურიდიული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომის სტრუქტურის ძირითად შემადგენელ ნაწილებად განისაზღრა ნაშრომის შესავალი, ძირითადი ნაწილის სტრუქტურა, ლიტერატურის მიმოხილვა, მტკიცებულებების ანალიზი, შედეგები და დასკვნა. დაწესებულების მიერ „აკადემიური წერის“ სილბუსის

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

ლიტერატურაც მოდიფიცირდა. კერძოდ, მას დამატებული აქვს სავალდებულო ლიტერატურა (დოლიძე ანა, *აკადემიური წერა სამართალში,* გამომცემლობა „უნივერსალი, თბილისი, 2017). შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

2. პროგრამას სჭირდება პროაქტიული მობილობის პოლიტიკა - სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო მობილობის პროგრამებში, ან სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში, მათ შორის კლასგარეშე აქტივობებში მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე მსგავს აქტივობებში საზღვარგარეთ (მაგალითად, Erasmus+ პროგრამა).

   თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, დაწესებულებამ ცვლილებები შეიტანა საგამოცდო ცენტრი დებულებაში და მკაფიოდ განსაზღვრა შუალედური და ფინალური გამოცდების ადმინისტრირების პროცესი. საგამოცდო ცენტრის დებულების მე-7 მუხლში გაწერილია საგამოცდო ნაშრომის შეფასების შედეგების გსაჩივრების წესი. აღნიშნული მუხლის თანახმად, სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში მიმართოს საგამოცდო ცენტრს შედეგების გასაჩივრების მიზნით. საგამოცდო ცენტრი განაცხადის შესახებ აცნობებს დეკანს, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სააპელაციო კომისიის შექმნას. სააპელაციო კომისია 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს სტუდენტის ნაშრომს და მიღებულ გადაწყვეტილებას წარუდგენს საგამოცდო ცენტრს დასაბუთებული დასკვნის სახით. საგამოცდო ცენტრის დებულების მე-7 მუხლში ასევე გაწერილია სააპელაციო კომისიის შემადგენლობის ფორმირების წესი და ის პირები, ვინც შეიძლება იყოს სააპელაციო კომისიის წევრი. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს შპს-თან „სთადიდრომი“ ხელშეკრულება გამოცდების ავტომატური სისტემის ინტერნეტ-სერვისის მიწოდების შესახებ ხელშეკრულება (#23/04-2). აღნიშნული პლატფორმა გამოიყენება თბილისის თავისუფალ აკადემიაში საგამოცდო პროცესის წარმართვისათვის, რაც დამატებითი ხელშემყობი ფაქტორია გამოცდების ადმინისტრირების პროცესში. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

3. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის სათანადო აქტიურობა სამეცნიერო სფეროში (კვლევების ჩატარება, კონფერენციებში მონაწილეობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება და ა.შ.).

   თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულებამ ითანამშრომლა საერთაშორისო ექსპერტთან. ექსპერტთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მას (ექსპერტს) დაწესებულებისთვის უნდა წარედგინასამომავლო განვითარების შესახებ გარკვეული რჩევები. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ექსპერტს, მის მიერ წარდგენილ დასკვნაში ხაზგასმით აქვს

აღნიშნული, რომ დაწესებულების საერთაშორისო პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტში ინტერნაციონალიზაცია მთავარ მიზნებს შორის არის წარმოდგენილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ექსპერტის დასკვნა თვითშეფასების ანგარიშს არ აქვს თანდართული. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების მიხედვით, იგეგმება სამართლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაცია. დაწესებულებას, ინტერნაციონალიზაციის ნაწილისა და საერთაშორისო მობილობის გაძლიერების კონტექსტში განხილული და წარმოდგენილი აქვს „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო მობილობის პროცესს. საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, დაწესებულება თანამშრომლობს ბულგარეთის რუსეს უნივერსიტეტთან და ახორციელებს ერთწლიან კვლევით პროექტს „საკუთრება, როგორც კონსტიტუციური უფლება“. აღნიშნულთან დაკავშირებით გაფორმებულია ხელშეკრულება. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, თბილისის თავისუფალი აკადემია 2024 წელს გახდა საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი და აშშ-ის საუნივერსიტეტო კვლევის ადმინისტრატორთა ეროვნული საბჭოს წევრი. ზემოაღნიშნული აქტივობები სამომავლო შედეგებზეა ორიენტირებული და განვითარებისკენ გადადგმულ ნაბიჯებად უნდა შეფასდეს. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

4. რეკომენდირებულია აკადემიური წერის სილაბუსის შინაარსში გათვალისწინებულ იქნეს იურიდიული სამეცნიერო-კვლევითი დოკუმენტის ასაგებად და მოსამზადებლად აუცილებელი საკითხები, როგორიცაა ნაშრომის სტრუქტურა, სათაური, დასკვნა და ა.შ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, გაზირებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია და მოდიფიცირდა სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ სილაბუსი. კერძოდ, სილაბუსით გათვალისწინებულ მეექვსე თემის ფარგლებში განისაზღვრა იურიდიული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომის სტრუქტურის ძირითად შემადგენელ ნაწილებად განისაზღრა ნაშრომის შესავალი, ძირითადი ნაწილის სტრუქტურა, ლიტერატურის მიმოხილვა, მტკიცებულებების ანალიზი, შედეგები და დასკვნა. დაწესებულების მიერ „აკადემიური წერის“ სილბუსის ლიტერატურაც მოდიფიცირდა. კერძოდ, მას დამატებული აქვს სავალდებულო ლიტერატურა (დოლიძე ანა, *აკადემიური წერა სამართალში,* გამომცემლობა „უნივერსალი, თბილისი, 2017). შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

რჩევ(ებ)ი[8]

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეეძლო უფრო ზუსტად და სტრატეგიულად გაეანალიზებინა დამსაქმებლების ინტერესების გამოკითხვები, რომლებიც შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა ჩაატარა. საბოლოო შედეგები სასურველია აისახოს პროგრამის მომავალ განვითარებაზე;
2. სასურველია დეტალური თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენა შემდგომი შეფასების პროცესებისთვის;
3. თუ პროგრამას აქვს ლოგიკური შრომის ბაზარი, და მისი სტრატეგია ძირითადად ეროვნულზე არის ორიენტირებული, მომავალში კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად სასურველია შემუშავდეს უფრო საერთაშორისო ორიენტირებული სტრატეგიაც. ამის დაწყება შესაძლებელია არსებული პარტნიორობისა და საერთაშორისო პროგრამების გამოყენებით;
4. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს რომ შეფასება პროაქტიულის ნაცვლად ძირითადად მონაცემთა ანალიზზე იყოს ორიენტირებული;
5. სასურველია მომავალში უფრო მეტი ინგლისური ენის კურსების ორგანიზების უზრუნველყოფა სამართლის სპეციალიზებულ დარგებში, ასევე სამართლებრივი სისტემების/ეროვნული სისტემების შედარებითი მიდგომის უზრუნველყოფა პროგრამის მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს სტუდენტების მეტი მონაწილეობა იმიტირებულ სასამართლოებში/ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე;
6. სასურველია ნაშრომების თემების ადაპტირება საერთაშორისო სამართლის/საერთაშორისო ურთიერთობების მიმდინარე მოვლენებთან, ვინაიდან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო სამართალს;
7. სასურველია განისაზღვროს სტუდენტების სავარაუდო რაოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და მიზანი პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში;
8. სასურველია, აკადემიამ ჩაატარებს შრომის ბაზრის კვლევას ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კანონმდებლობის გათვალისწინებით და განაგრძობს სასწავლო გეგმების შემდგომ განვითარებას ამ მიმართულებით, ძირითადი საგნების პარალელურად.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

---

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)
[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევების გათვალისწინების თაობაზე დაწესებულების მიერ მონაცემები არ არის წარმოდგენილი.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია I[12]	რეკომენდირებულია აკადემიური წერის სილაბუსის შინაარსში გათვალისწინებულ იქნეს იურიდიული სამეცნიერო-კვლევითი დოკუმენტის ასაგებად და მოსამზადებლად აუცილებელი საკითხები, როგორიცაა ნაშრომის სტრუქტურა, სათაური, დასკვნა და ა.შ
შეფასება	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, გაზიარებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია და მოდიფიცირდა სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ სილაბუსი. კერძოდ, სილაბუსით გათვალისწინებულ მეექვსე თემის ფარგლებში განისაზღვრა იურიდიული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომის სტრუქტურის ძირითად შემადგენელ ნაწილებად განისაზღრა ნაშრომის შესავალი, ძირითადი ნაწილის სტრუქტურა, ლიტერატურის მიმოხილვა, მტკიცებულებების ანალიზი, შედეგები და დასკვნა. დაწესებულების მიერ „აკადემიური წერის“ სილბუსის ლიტერატურაც მოდიფიცირდა. კერძოდ,

---

პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	მას დამატებული აქვს სავალდებულო ლიტერატურა (დოლიძე ანა, *აკადემიური წერა სამართალში,* გამომცემლობა „უნივერსალი, თბილისი, 2017). შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.
რჩევა	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ სილაბუსი“;

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4. სტუდენტის შეფასება
რეკომენდაცია II	სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების პროცედურების ნაწილში პროგრამა საჭიროებს უფრო კონკრეტულ, დეტალურ და გამჭვირვალე განმარტებებს/აღწერას;
შეფასება	თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, დაწესებულებამ ცვლილებები შეიტანა საგამოცდო ცენტრი დებულებაში და მკაფიოდ განსაზღვრა შუალედური და ფინალური გამოცდების ადმინისტრირების პროცესი. საგამოცდო ცენტრის დებულების მე-7 მუხლში გაწერილია საგამოცდო ნაშრომის შეფასების შედეგების გსაჩივრების წესი. აღნიშნული მუხლის თანახმად, სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში მიმართოს საგამოცდო ცენტრს შედეგების გასაჩივრების მიზნით. საგამოცდო ცენტრი განაცხადის შესახებ აცნობებს დეკანს, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სააპელაციო კომისიის შექმნას. სააპელაციო კომისია 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს სტუდენტის ნაშრომს და მიღებულ გადაწყვეტილებას წარუდგენს საგამოცდო ცენტრს დასაბუთებული დასკვნის სახით. საგამოცდო ცენტრის დებულების მე-7 მუხლში ასევე გაწერილია სააპელაციო კომისიის შემადგენლობის ფორმირების წესი და ის პირები, ვინც შეიძლება იყოს სააპელაციო კომისიის წევრი. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს შპს-თან „სთადიდრომი“ ხელშეკრულება გამოცდების ავტომატური სისტემის ინტერნეტ-სერვისის

	მიწოდების შესახებ ხელშეკრულება (#23/04-2). აღნიშნული პლატფორმა გამოიყენება თბილისის თავისუფალ აკადემიაში საგამოცდო პროცესის წარმართვისათვის, რაც დამატებითი ხელშემყობი ფაქტორია გამოცდების ადმინისტრირების პროცესში. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.
რჩევა	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • ხელშეკრულება #23/04 – 2, 24.04.2023; • საგამოცდო ცენტრის დებულება.

სტანდარტის დასახელება	3.1. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	
რეკომენდაცია III	პროგრამას სჭირდება პროაქტიული მობილობის პოლიტიკა - სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო მობილობის პროგრამებში, ან სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში, მათ შორის კლასგარეშე აქტივობებში მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე მსგავს აქტივობებში საზღვარგარეთ (მაგალითად, Erasmus+ პროგრამა);
შეფასება	თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულებამ ითანამშრომლა საერთაშორისო ექსპერტთან. ექსპერტთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მას (ექსპერტს) დაწესებულებისთვის უნდა წარედგინასამომავლო განვითარების შესახებ გარკვეული რჩევები. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ექსპერტს, მის მიერ წარდგენილ დასკვნაში ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ დაწესებულების საერთაშორისო პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტში ინტერნაციონალიზაცია მთავარ მიზნებს შორის არის წარმოდგენილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ექსპერტის დასკვნა თვითშეფასების ანგარიშს არ აქვს თანდართული. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების მიხედვით, იგეგმება სამართლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო

	პროგრამის აკრედიტაცია. დაწესებულებას, ინტერნაციონალიზაციის ნაწილისა და საერთაშორისო მობილობის გაძლიერების კონტექსტში განხილული და წარმოდგენილი აქვს „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო მობილობის პროცესს. საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, დაწესებულება თანამშრომლობს ბულგარეთის რუსეს უნივერსიტეტთან და ახორციელებს ერთწლიან კვლევით პროექტს „საკუთრება, როგორც კონსტიტუციური უფლება“. აღნიშნულთან დაკავშირებით გაფორმებულია ხელშეკრულება. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, თბილისის თავისუფალი აკადემია 2024 წელს გახდა საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი და აშშ-ის საუნივერსიტეტო კვლევის ადმინისტრატორთა ეროვნული საბჭოს წევრი. ზემოაღნიშნული აქტივობები სამომავლო შედეგებზეა ორიენტირებული და განვითარებისკენ გადადგმულ ნაბიჯებად უნდა შეფასდეს. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.
რჩევა	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • კვლევითი პროექტის განხორციელების ხელშეკრულება; • საერთაშორისო ექსპერთან გაფორმებული ხელშეკრულება.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1. ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია IV	რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის სათანადო აქტიურობა სამეცნიერო სფეროში (კვლევების ჩატარება, კონფერენციებში მონაწილეობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება და ა.შ.);
შეფასება	თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, დაწესებულების მიერ კვლევითი პოტენციალის გაზრდის, მეცნიერების პოპულარიზაციის, სამეცნიერო ცენტრებთან კავშირის დამყარებისა და არსებული კავშირების განვითარების მიზნით, შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

	სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების მიხედვით, მისი ამოცანებია კვლევითი საქმიანობის პოტენციალის ზრდა, შემოქმედებითი საქმიანობის პოტენციალის ზრდა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაღრმავება და მხარდაჭრა, სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა, საერთაშორისო პროექტებსა და სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობის ზრდა. დაწესებულება აღნიშნული ცენტრის შქმნას განიხილავს აკადემიური პერსონალისათვის სამეცნიერო კვლევებში ხელშეწყობის მექანიზმად, რომლის შედეგებიც სამომავლოდ, გარკვეული დროის გასვლის შემდგომ იქნება შეფასებადი. უსდ-ის მიერ განხორციელებული აქტივობის შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.
რჩევა	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულება.

თანდართული დოკუმენტაცია[13]

ექსპერტის ხელმოწერა



[13]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა